# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 142

“24” მაისი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ნაკადულის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.33.008.020) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, “ქალაქ თბილისში, ნაკადულის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.33.008.020) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 17 აპრილის №19.436.552 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქ. თბილისი, ნაკადულის ქუჩა №2ა (ს/კ 01.19.33.008.020) | | | | | |
| № | სახელი და გვარი | პირადი № | დაკავებული ფართის სართული | ფაქტობრივად დაკავებული ფართი | საკადასტრო კოდი |
| 1 | დავით მერმანიშვილი | 31001035437 | სართული 3, ბინა №67 | 60.48 კვ.მ | 01.19.33.008.020.01.067 |
| 2 | კორნელი კუპატაძე | 31001013100 | სართული 1, ბინა №64 | 64.48 კვ.მ | 01.19.33.008.020.01.064 |
| 3 | ნინო კალმახელიძე | 01009008927 | სართული 2 | 58.27 კვ.მ | 01.19.33.008.020.01.524 |
| 4 | ნუცა გაგუა | 01008055543 | სართული 1, ბინა №66ბ | 15.96 კვ.მ | 01.19.33.008.020.01.066ბ |
| 5 | მანანა ქვარაია | 01001059779 | სართული 4, ბინა №69 | 60.48 კვ.მ | 01.19.33.008.020.01.069 |